ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 3/237 კ

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2013 წლის 2 ოქტომბერს, ერთის მხრივ სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“ (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მერაბ ბოჭოიძის სახით და მეორეს მხრივ, სააპ „ინჟინრული აზრი“ (შემდგომში ,,მიმწოდებელი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის მალხაზ ლეკვეიშვილის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და კონკურსანტის წინადადების საფუძველზე.

შემსყიდველმა ჩაატარა კონკურსი N 918, ქ. სენაკის აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვაზე (CPV კოდი 71300000), რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეული იქნა კონკურსანტის წინადადება, რომლის თანახმად მიმწიდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება შემდეგ თანხაზე: 72 000 (სამოცდათორმეტი ათასი) ლარი ყველა გადასახადის ჩათვლით (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება“).

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ _ „ხელშეკრულება“) _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება კონკურსში და უზრუნველყოფს მომსახურების გაწევას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია ქ. სენაკის აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება, რომელიც განისაზღვრება ტექნიკური დავალების შესაბამისად, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს (იხ დანართი - ტექნიკური დავალება, მომსახურების ხარჯთაღრიცხვა, მომსახურების ჩამონათვალი ეტაპების მიხედვით).

3. მომსახურების გაწევის პირობები

3.1. საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების საფუძველზე.

3.2. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების მიხედვით მიმწოდებელი საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდებას უზრუნველყოფს: პირველი ეტაპი - 2013 წლის 5 დეკემბერი; მეორე დამასრულებელი ეტაპი - 2014 წლის 30 აპრილი.

3.3. საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდების ადგილი - ქ. თბილისი, ათონელის #27 (სანაპიროს მხრიდან).

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და განახორციელოს მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

4.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

4.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს“ თანამშრომლები: ნ. ზაზუნიშვილი, ნ. კორძახია, ი. საბაშვილი, დ. ბოლოთაშვილი, გ. ჭანუყვაძე.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. გაწეული მომსახურების მიღება განხორციელდება ეტაპობრივად მომსახურების გაწევის შემდეგ, მხარეთა მიერ შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის საფუძველზე (შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირ(ებ)ს წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების 4.5 მუხლში მითითებული პირები).

5.2.შემსყიდველი ამოწმებს მიმწოდებლის მიერ დამუშავებულ და წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციის სრულყოფილებას, მიმწოდებლის მიერ შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის დღიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

5.3. თუ პროექტი არ შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, შესყიდველი დადგენილი წესის შესაბამისად მიმწოდებელთან ერთად ან მის გარეშე ადგენს აქტს.
5.4. შემსყიდველს უფლება აქვს ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე დაუბრუნოს მიმწოდებელს ხარვეზიანი საპროექტო დოკუმენტაცია.
5.5. მიმწოდებელი ვალდებულია წუნის (დეფექტების) აღმოჩენის შესახებ შესაბამისი აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში აღმოფხვრას ინსპექტირების შედეგად აღმოჩენილი დეფექტები.
5.6. თუ შემსყიდველმა წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეაფასა წუნით, დასრულებულად ჩაითვლება სამუშოები დეფექტების აღმოფხვრის შემდეგ.
5.7. მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).

6. ანგარიშსწორება
6.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს“ 2013 წლის ბიუჯეტის სახსრებით.
6.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.
6.3 გაწეული მომსახურების ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად მხარეთა მიერ შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის მიხედვით;
6.4. ანგარიშსწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარდგენიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.
6.5. წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია, წარმოადგინოს ავანსის სახით გადასახდელ თანხაზე საავანსო საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა 60 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას.

7. ფასები
7.1 მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული გასაწევი მომსახურების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.
7.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია.
7.3 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.
7.4 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
7.5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი
8.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.
8.2 შემსყიდველი ვალდებულია:
8.2.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
8.2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას აცნობოს მიმწოდებელს ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;
8.2.3.ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება.
8.3. შემსყიდველს უფლება აქვს:
8.3.1განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებების პირობების დაცვაზე;
8.3.2. განახორციელოს კონტროლი საპროექტო დოკუმენტაციის შედგენისას;
8.3.3. მიიღოს მიმწოდებლისგან სათანადო წესით გაფორმებული საპროექტო დოკუმენტაცია.
8.3.4. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმდება, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება;
8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
8.4.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
8.4.2. დააკმაყოფილოს შემსყიდველის მოთხოვნა დამატებითი მონაცემების წარმოდგენის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით;
8.4.3. საპროექტო დოკუმენტაციაზე რაიმე შენიშვნების აღმოჩენის შემთხვევაში შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას იგი, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;
8.4.4. საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით, სამშენებლო სამუშაოების განხორციელების დროს წარმოქმნილი დამატებითი სამუშაოების აუცილებლობის შემთხვევაში, შეიტანოს შესაბამისი კორექტირება საპროექტო დოკუმენტაციაში შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.
8.5 საპროექტო დოკუმენტაცია წარადგინოს 4 (ოთხ) ეგზემპლარად ტექნიკურ დავალებაში მითითებული პირობების შესაბამისად, აგრეთვე პროექტი ელექტრონული სახით ტექნიკური დავალებით განსაზღვრულ ფორმატში.
8.6. მიმწოდებელს უფლება აქვს:
8.6.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. უფლებების გადაცემა

10.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

11. სუბკონტრაქტორები

11.1 ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინადებარე ხელშეკრულების დამატების სახით.

11.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

11.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

12. გარანტია

12.1. საპროექტო დოკუმენტაციის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სამშენებლო ნორმებითა და წესებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, აგრეთვე ტექნიკურ დავალებაში მითითებულ მოთხოვნებს;

12.2. შემსყიდველი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს ექსპერტიზის გავლის შედეგად საპროექტო დოკუმენტაციაში რაიმე წუნის (ხარვეზის) აღმოჩენის შესახებ.

12.3. შეტყობინების მიღების შემდეგ მიმწოდებელი ვალდებულია 5 სამუშაო დღის განმავლობაში საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას საპროექტო დოკუმენტაციაში აღმოჩენილი წუნი (ხარვეზი).

12.4. ნებისმიერი პრობლემა, რომელიც წარმოიქმნება სამუშაოების პროცესში საპროექტო ორგანიზაციის არაკვალიფიციურად დასახული ამოცანის შედეგად და აღმოჩნდება, რომ ამის გამო სამუშაოების ღირებულება იზრდება, მიმწოდებელი (საპროექტო ორგანიზაცია) ვალდებულია აანაზღაუროს ასეთი გარემოებით გამოწვეული სამუშაოები.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,5 %-ის ოდენობით.

13.2 ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულებისას ინსპექტირების ჯგუფის მიერ წუნის (დეფექტების) აღმოჩენის შემთხვევაში საჯარიმო სანქციების ათვლა მოხდება შესაბამისი აქტის გაფორმების თარიღიდან.

13.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

14.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შესმყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

14.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

14.4 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14.5 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

14.6 შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუკი მიმწოდებლის მხრიდან შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადების დარღვევის პერიოდი აღემატება 15 კალენდარულ დღეს.

15. ფორს-მაჟორი

15.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

16. სადაო საკითხების გადაწყვეტა

16.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

16.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

17. გამოყენებული სამართალი

ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

18. ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება შედგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, თითოეულ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

19. შეტყობინება

19.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

19.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

20. გადასახადები და დაბეგვრა

20.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

20.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

21. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან, 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

22. სხვა პირობები

22.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

22.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

22.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

22.4 გამარჯვებული კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

22.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“ მის: ქ. თბილისი, თაბუკაშვილის #5 სახელმწიფო ხაზინა კოდი: 220101222 ა/ა № 200122900 ს/კოდი: 204562311	ააიპ „ინჟინრული აზრი“ მის: ქ. თბილისი, ლესელიძის ქ. #18/2 ს.ს. „საქართველოს ბანკი“ კოდი: BAGAGE22 ა/ა # GE36BG0000000892942101 ს/კოდი: 204400022
გენერალური დირექტორი	**დირექტორი**
მერაბ ბოჭორიძე	მალხაზ ლეკვეიშვილი

ქ. სენაკის აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობის
რეაბილიტაციის პროექტის შესრულებისთვის

ტექნიკური დავალება

❖ **პრეამბულა**

ქ. სენაკის აკაკი ხორავას სახელობის დრამატული თეატრის შენობა აგებულია გასული საუკუნის 50-იან წლებში, შენობის ავტორია არქიტექტორი ვ. გოგოლაძე. იგი სამსართულიანია. ფასადები და ინტერიერი მრავლადაა შემკული არქიტექტურულ-მხატვრული ელემენტებით. ფოიეს და დარბაზის კედლები და ჭერი მოხატულია იმ პერიოდისთვის დამახასიათებელი მხატვრობით (ავტორი მხატვარი ბ. ბარქაია). სამაყურებლო დარბაზსა და ფოიეში მაღალი მხატრული ღირებულების მქონე ჭაღებია შეკიდული.

2008 წელს შენობაზე ჭურვის მოხვედრისა და აფეთქების შედეგად მარჯვენა ფლიგელში ჩამოინგრა კედლის ნაწილი. ჩამონგრეული ნაწილი აღდგენილ იქნა, თუმცა დაზიანებების კვალი ბოლომდე არ აღმოფხვრილა. უშუალოდ შენობაზე მიშენებულია კერძო გარაჟები და ელექტროქვესადგური. ილია ჭავჭავაძის ქუჩაზე, თეატრის მარჯვენა მხარეს, მის უშუალო სიახლოვეს, ფუნქციურად და არქიტექტურული იერსახით შეუფერებელი სასტუმრო-რესტორანია აშენებული.

❖ **კონკურსის მიზანი და ძირითადი პირობები**

კონკურსის მიზანია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის - ქალაქ სენაკის აკაკი ხორავას სახელობის დრამატული თეატრის შენობის რეაბილიტაციის გადაწყვეტის საუკეთესო წინადადების გამოვლენა.

ძეგლზე ჩასატარებელი სარეაბილიტაციო სამუშაოები, აგრეთვე მეთოდოლოგია უნდა დაისახოს საქართველოს კანონის „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ მოთხოვნებისა და ძეგლთა დაცვითი საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით.

კვლევითი და საპროექტო დოკუმენტაცია უნდა დამუშავდეს საქართველოს კანონმდებლობისა და კანონქვემდებარე ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების გათვალისწინებით, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. გრაფიკული მასალა უნდა მომზადდეს ციფრულ (ვექტორული DWG, DXF PLN გაფართოების ფაილი – ArchiCad, Auto CAD) ფორმატში.

გასაწევი მომსახურება ორ ეტაპიანია.

I ეტაპზე ჩასაბარებელი დოკუმენტაცია განისაზღვრება შემდეგი შემადგენლობით:

1. განმარტებითი ბარათი (პრობლემ(ებ)ის დეტალური აღწერა);
2. საპროექტო ობიექტის ადგილმდებარეობის სიტუაციური გეგმა - მ. 1:2000 ან 1:1000;
3. ტოპოგრაფიული გეგმა - 1:200;
4. სისტემატიზირებული ფოტომასალა: საპროექტო ობიექტის საერთო ხედები, ფასადები, ინტერიერი, არქიტექტურულ-მხატვრული თვალსაზრისით ღირებული ელემენტები, საერთო და ლოკალური დაზიანების ამსახველი ფოტომასალა, (მაღალი ხარისხისა და რეზოლუციის ფოტომასალა – TIFF/JPEG გაფართოების ფაილი);
5. არქიტექტურული ანაზომები ლოკალურ დაზიანებათა დატანით (კროკები; ზომებისა და ნიშნულების ჩვენებით მასშტაბში გამოხაზული ანაზომი ნახაზები მ. 1:50; არქიტექტურული დეტალები: მ. 1:25, 1:20, 1:10; შაბლონები მ. 1:1, ტექსტური აღწერილობა);
6. კონსტრუქციული დეტალების განლაგების სქემები და ტექსტური აღწერილობა;
7. საჭიროებისამებრ, ზონდირების შემთხვევაში ზონდაჟების განლაგების სქემა, კროკები, გამოხაზული ნახაზები (მ 1:25, 1:20) და ტექსტური აღწერილობა;
8. შენობების ტექნიკური მდგომარეობის შეფასება და რეკომენდაციები;
9. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა, ტექნიკური ანგარიშის, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება (გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შეფასება, სიწეგების ლაბორატორიული ანალიზი, ანალიზის შედეგების დამუშავება და დასკვნების მომზადება). ანგარიშს თან უნდა ახლდეს ლითოგრაფიული ჭრილები, არქეოლოგის ხელმოწერით დადასტურებული შურფების განლაგების სქემა.
10. რეკომენდაციები სამუშაოებისას ძირითადად გამოსაყენებელი მასალის ძეგლზე არსებულ მასალასთან თავსებადობის შესახებ;
11. არსებული შიდა და გარე საინჟინრო კომუნიკაციების მდგომარეობის შეფასება და რეკომენდაციები;
12. სახელოვნებათმცოდნეო კვლევის შედეგები (ბიბლიოგრაფიული კვლევის ანალიზი, ნატურაში კვლევის ანალიზი, შესწავლილი ბიბლიოგრაფიული და საარქივო მასალის ჩამონათვალი);
13. მონუმენტური სახვითი ხელოვნების ნიმუშების დაზიანებათა ზუსტი იდენტიფიკაცია (ლაბორატორიულად დადგენილი ბიოქიმიური დაზიანებების სახეობები და სხვა); უახლესი ფოტომასალა, დაზიანებული ელემენტებისა და ფრაგმენტების დეტალური ფოტოფიქსაცია, განმარტებითი ბარათი (პრობლემ(ებ)ის დეტალური აღწერა, გადაჭრის გზები);
14. საპროექტო გადაწყვეტის ესკიზური ვარიანტი.

II ეტაპზე ჩასაბარებელი სამუშაო განისაზღვრება დოკუმენტაციის შემდეგი შემადგენლობით:

1. არქიტექტურული ნაწილი: განმარტებითი ბარათი (პრობლემების გადაჭრის გზები და მეთოდოლოგიის დასაბუთება); გენერალური გეგმა _ მ. 1:200; სამუშაო ნახაზები (ზომებისა და ნიშნულების ჩვენებით მ. 1:100, 1:50),

შაბლონები, ფრაგმენტები, დეტალები 1:50, 1:25, 1:20, 1:1), სპეციფიკაციები სამუშაოთა სახეობებისა და გამოსაყენებელი მასალების სახეობების მითითებით (როგორც ცალკეულ სახეობებზე, ასევე კრებსითი);

2. კონსტრუქციული ნაწილი: განმარტებითი ბარათი, სამუშაო ნახაზები (ზომებისა და ნიშნულების ჩვენებით მ. 1:100, 1:50, 1:25), სპეციფიკაციები სამუშაოთა სახეობებისა და გამოსაყენებელი მასალების სახეობების მითითებით (როგორც ცალკეულ სახეობებზე, ასევე კრებსითი);

3. გარე და შიდა საინჟინრო კომუნიკაციების (წყალმომარაგება-კანალიზაცია, ელ.გაყვანილობა, სუსტი დენები, გათბობა-ვენტილაცია, კონდიცირება,) პროექტი;

4. ხანძარსაწინააღმდეგო ქრობის სისტემის პროექტი;

5. აუცილებლობის შემთხვევაში, სამაყურებლო დარბაზის აკუსტიკისა და გახმოვანების სისტემის პროექტი;

6. მონუმენტური სახვითი ხელოვნების ნიმუშების რეაბილიტაციის პროექტი, შემდეგი შემადგენლობით:

ა) განმარტებითი ბარათი (პრობლემის დეტალური აღწერა და მისი გადაჭრის გზების განსაზღვრა, შერჩეული მეთოდოლოგიის დასაბუთება);

ბ) საპროექტო ობიექტის ანაზომი, დაზიანებათა განლაგების სქემა (მასშტაბი 1:50, 1:25), ცალკეული დეტალები (მასშტაბი 1:1), შაბლონები;

გ) შესაბამისი სპეციალისტის დასკვნა სამუშაოებისას გამოსაყენებელი მასალის ძეგლზე არსებულ მასალასთან თავსებადობის შესახებ;

7. სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციის პროექტი სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების კალენდარული გრაფიკით;

8. ჩასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა;

9. უძრავი ძეგლის სააღრიცხვო ბარათი (დანართი 1);

10. უძრავი ძეგლის პასპორტი (დანართი 2).

საპროექტო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს A-3 ფორმატის, ზამბარით აკინძული ალბომის სახით:

- სათაური;
- სატიტულო ფურცელი, დამოწმებული ორგანიზაციის ბეჭდით, ხელმძღვანელისა და პროექტის ავტორ(ებ)ის ხელმოწერ(ებ)ით;
- ალბომის შემადგენლობა;
- პროექტის შემადგენლობა;
- შესაბამისი ტექსტუალური ნაწილ(ებ)ი, დადასტურებული შემსრულებლ(ებ)ის/ ავტორ(ებ)ის მიერ - A-4 ფორმატი;
- გრაფიკული ნაწილ(ებ)ი, შტამპით და ჩარჩოთი - A-3 ფორმატი (გამონაკლის შემთხვევაში დასაშვებია განსხვავებული ფორმატის წარმოდგენა, ალბომში აკინძული A3 ფორმატის ზომაზე).

ყველა ფურცელი უნდა იყოს დადასტურებული ხელმძღვანელის, პროექტის ავტორ(ებ)ის/შემსრულებლ(ებ)ის მიერ ხელმოწერებით.

ჩასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა წარმოდგენილი უნდა იყოს A-4 ფორმატის, ზამბარით აკინძული ალბომის სახით:

- თავფურცელი (სათაური);
- სატიტულო ფურცელი, დამოწმებული ორგანიზაციის ბეჭდით, ხელმძღვანელის და შემდგენელის ხელმოწერ(ებ)ით;
- განმარტებითი ბარათი;
- სამუშაოების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა დადასტურებული შემდგენელის ხელმოწერით;

შემსყიდველი იტოვებს უფლებას საპროექტო სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში დააზუსტოს ისეთი ტექნიკური პირობები, რომლებიც არ გამოიწვევენ სამუშაოების მოცულობათა და შინაარსის მნიშვნელოვან ცვლილებებს. აგრეთვე, შემსყიდველი იტოვებს უფლებას საკონკურსო დავალებისა და საკონკურსო წინადადების საფუძველზე დააზუსტოს მოთხოვნები მისაღები (დასამუშავებელი) პროდუქციის მიმართ.

შემსრულებლისთვის გადასაცემი დოკუმენტაცია:

- უძრავი ძეგლის სააღრიცხვო ბარათის ფორმა;
- უძრავი ძეგლის პასპორტის ფორმა.

შემსყიდველისათვის გადასაცემი საბოლოო პროდუქცია

საბოლოო პროდუქციის სახით წარმოდგენილი უნდა იყოს პირველ და მეორე ეტაპზე დამუშავებული დოკუმენტაცია:

– მყარი ასლები – ალბომი - 4 ეგზ;

– ელექტრონული ფორმატი (ვექტორული DWG, DXF PLN გაფართოების ფაილი – ArchiCad, Auto CAD), კომპაქტური დისკების სახით (CD - 4 ეგზ.).

ქ. სენაკის აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის

ხარჯთაღრიცხვა

№	შესასრულებელი სამუშაოები	ღირებულება
	I ეტაპის სამუშაოები	
1	განმარტებითი ბარათი	300
2	სარეაბილიტაციო ობიექტის სიტუაციური გეგმა	100
3	ტოპოგრაფიული გეგმა	200
4	სისტემატიზირებული ფოტომასალა	150
5	არქიტექტურული ანაზომები ლოკალურ დაზიანებათა დეტალით	19200
6	კონსტრუქციული დეტალების განლაგების სქემები	200
7	ზონდაჟების განლაგების სქემა	150
8	შენობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასება და რეკომენდაციები	200
9	საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა	2500
10	გამოსაყენებელი მასალების თავსებადობის კვლევა	400
11	არსებული შიდა და გარე საინჟინრო კომუნიკაციების მდგომარეობის შეფასება	200
12	სახელოვნებათმცოდნეო კვლევა	1200
13	მონუმენტური სახვითი ხელოვნების ნიმუშების დაზიანებების იდენტიფიკაცია	500
14	რეაბილიტაციის პროექტის ესკიზური ვარიანტის შედგენა	1700
	ჯამი	25 817
	დღგ 18%	4647
	I ეტაპის სამუშაოების ჯამი	30464
	II ეტაპის სამუშაოები	
1	არქიტექტურული ნაწილის დამუშავება სამაყურებლო დარბაზის აკუსტიკის სისტემით	10400
2	პროექტის კონსტრუქციული ნაწილი	5400
3	დრენაჟის სისტემის პროექტი	2200
4	წყალმომარაგება-კანალიზაციის სისტემების პროექტი	2200
5	ელექტრომომარაგების პროექტი	2000
6	სუსტი დენები	2000
7	სახანძრო დაცვითი სისტემების პროექტი	2000
8	გათბობა-ვენტილაციის სისტემების პროექტი	2000
9	კონდიცირების სისტემების პროექტი	1800
10	მონუმენტური სახვითი ხელოვნების რეაბილიტაციის პროექტი	3350
11	ხარჯთაღრიცხვის შედგენა	800
12	სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციის პროექტი კალენდარული გრაფიკით	450
13	უძრავი ძეგლის საღრიცხვო ბარათის შედგენა	300
14	უძრავი ძეგლის პასპორტის შედგენა	300
	ჯამი	35 200
	დღგ 18%	6336
	II ეტაპის სამუშაოების ჯამი	41536
	I და II ეტაპების სამუშაოების ჯამი	72000

საპროექტო სამუშაოების
საერთო ჯამი 72 000 (სამოცდათორმეტიათასი) ლარი

აარპ ინჟინრული აზრის დირექტორი

მ.ლეკვეიშვილი

შენობის რეაბილიტაციისათვის აუცილებელი

ჩასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალი

I ეტაპზე შესასრულებელი სამუშაოები:

1 განმარტებითი ბარათი პრობლემების დეტალური აღწერით;

2 სარეაბილიტაციო ობიექტის სიტუაციური გეგმა (მ 1:1000)

3 ტოპოგრაფიული გეგმა (მ 1:200);

4 სისტემატიზირებული ფოტომასალა: ობიექტის საერთო ხედები, ფასადები ინტერიერი, არქიტექტურულ-მხატვრული თვალსაზრისით ღირებული ელემენტები, საერთო და ლოკალური დაზიანების ამსახველი ფოტომასალა;

5 არქიტექტურული ანაზომები ლოკალურ დაზიანებათა დატანით (გეგმების, ჭრილების, ფასადების მომზადება დაზიანებების დატანით (მ 1:100), დეტალები (მ 1:20; 1:10), შაბლონები (მ 1:1);

6 კონსტრუქციული დეტალების განლაგების სქემები და ტექსტური აღწერილობა;

7 საჭიროებისამებს, ზონდირების შემთხვევაში, ზონდაჟების განლაგების სქემა, კროკები, ნახაზები (მ 1:25), ტექსტური აღწერილობა;

8 შენობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასება და რეკომენდაციები;

9 საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა, ტექნიკური ანგარიშის, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება (გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შეფასება, სინჯების ლაბორატორიული ანალიზი, ანალიზის შედეგების დამუშავება და დასკვნების მომზადება) ლითოლოგიური ჭრილებით, შურფებით და არქეოლოგის ხელმოწერით დადასტურებული შურფების განლაგების სქემა;

10 რეკომენდაციები სამუშაოებისას ძირითადად გამოსაყენებელი მასალების არსებულ მასალებთან თავსებადობის შესახებ;

11 არსებული შიდა და გარე საინჟინრო კომუნიკაციების მდგომარეობის შეფასება და რეკომენდაციები;

12 სახელოვნებათმცოდნეო კვლევის შედეგები;

13 მონუმენტური სახვითი ხელოვნების ნიმუშების დაზიანებების იდენტიფიკაცია (ლაბორატორიულად დადგენილი ბიოქიმიური დაზიანებების ფრაგმენტების დეტალური ფოტოფიქსაცია, განმარტებითი ბარათი პრობლემების დეტალური აღწერით და გადაჭრის გზებით;

14 რეაბილიტაციის პროექტის ესკიზური ვარიანტის შედგენა.

II ეტაპზე შესასრულებელი სამუშაოები:

1. რეაბილიტაციის პროექტის არქიტექტურული ნაწილის დამუშავება: განმარტებითი ბარათი პრობლემების გადაჭრის გზებით და მეთოდოლოგიის დასაბუთებით;
   გენერალური გეგმა – (მ 1:200)
   სამუშაო ნახაზები – გეგმები, ჭრილები, ფასადები (მ 1:100)
   შაბლონები, დეტალები, ფრაგმენტები (მ 1:50; 1:20; 1:10; 1:1)
2. რეაბილიტაციის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი; განმარტებითი ბარათი; სამუშაო ნახაზები; სპეციფიკაციები სამუშაოთა სახეობებისა და გამოსაყენებელი მასალების სახეობების მითითებით;
3. გარე და შიდა საინჟინრო კომუნიკაციების რეაბილიტაციის პროექტი (წყალმომარაგება-კანალიზაცია, ელ-გაყვანილობა, სუსტი დენები, გათბობა-ვენტილაცია, კონდიცირება);
4. სანძარსაწილააღმდეგო ქრობის სისტემის პროექტი;
5. აუცილებლობის შემთხვევაში, სამაყურებლო დარბაზის აკუსტუკისა და გახმოვანების სისტემის პროექტი;
6. მონუმენტური სახვითი ხელოვნების ნიმუშების რეაბილიტაციის პროექტი შემდეგი შემადგენლობით:
   განმარტებითი ბარათი პრობლემების დეტალური აღწერით და მათი გადაჭრის გზების განსაზღვრით, შერჩეული მეთოდოლოგიის დასაბუთებით;
   საპროექტო ობიექტის ანაზომი დაზიანებათ განლაგების სქემით (მ 1:100), დეტალებით (მ 1:25) და შაბლონებით (მ 1:1);
   შესაბამისი სპეციალისტების დასკვნა სამუშაოებისას გამოსაყენებელი მასალების არსებულ მასალებთან თავსებადობის შესახებ;
7. წრიული დრენაჟის სისტემის პროექტი;
8. სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციის პროექტი სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების კალენდარული გრაფიკით;
9. ჩასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა;
10. უძრავი ძეგლის საღრიცხვო ბარათი;
11. უძრავი ძეგლის პასპორტი.

არქიტექტორი მ. ლეკვეიშვილი